მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დადგენა სასამართლოსთვის მიმართვის გზით

(დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზი)

ლიკა ზოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : უჩა თოდუა, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად”

ლიკა ზოიძე _____ 25.06.2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა ეხება სამემკვიდრეო სამართალში მეტად აქტუალურ საკითხს, მემკვიდრეობის მიღების საშუალებას, კერძოდ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დადგენას სასამართლოსათვის მიმართვის გზით. კვლევაში განხილულია მემკვიდრეობის არსი, მისი მიღების საშუალებები და ფაქტობრივი ფლობის დადასტურების ნაწილში არსებული დაბრკოლებები. კვლევის ფარგლებში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ძველი ქართული სამართლის მიხედვით შეფასებულია მემკვიდრეობის საკითხები, გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლის რეგულირების წესი და პირობები. აღწერით/მიმოხილვითი მეთოდის გამოყენებით განვრცობილი და შეფასებულია ფაქტობრივი ფლობის დადასტურების კანონით დადგენილი საშუალებები, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის ფონზე წარმოჩენილია მათი ეფექტურობა სამკვიდროს მიღების პროცესში.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ სამკვიდროს მიღების ვადა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში იწყება მთელი რიგი პროცესები, რა შემთხვევაშიც პოტენციური მემკვიდრეები იძულებულნი არიან მემკვიდრეობის მიღების პროცესში, დაადასტურონ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა. საბოლოოდ სასამართლო რჩება პოტენციური მემკვიდრეებისათვის მთავარი გარანტორი, რათა მიიღონ სამკვიდრო ქონება, სასამართლოში კი ფაქტობრივი ფლობის დადასტურება არც თუ ისე მარტივია. წინამდებარე კვლევის ეტაპზე დადგინდა, რომ მართალია არსებობს კანონით დადგენილი ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები/გარემოებები, თუმცა ხშირად აღნიშნული საკმარისი არ არის ფლობის დასადასტურებლად, ვინაიდან სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევას განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, გამოირკვა რომ ძირითადად ფაქტობრივი ფლობის დადასტურება ხდება მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრებით.

კანონისმიერ მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების პროცესში, აქვს ვალდებულება განახორციელოს აქტიური მოქმედებები და დაადასტუროს ფაქტობრივი ფლობა, აღნიშნული ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაში თუ არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. რაც შეეხება ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ დოკუმენტაციის მოძიება ზოგჯერ განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, ხშირად კი შესაძლოა აღნიშნული შესაბამის უწყებაში ინახებოდეს არასრულად ან ხარვეზით.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შეფასებულია სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის რელევანტურობა და ეფექტურობა, აღნიშნული შეფასებულია სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის ანალიზის საფუძველზე. შემოთავაზებულია შესაბამისი პრევენციული მექანიზმები, რაც აუცილებელია სამკვიდროს მიღების ფაქტობრივი ფლობის დადასტურების ნაწილში გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: მემკვიდრეობა, სამკვიდრო, სამემკვიდრეო სამართალი, სამკვიდრო მიღების საშუალებები, კანონისმიერი მემკვიდრეობა, კანონისმიერი მემკვიდრე მემკვიდრეობა როგორც კონსტიტუციური უფლება, სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით, ფაქტობრივი ფლობის დადასტურება სასამართლოს მეშვეობით.

Abstract

The present study deals with one of the actual issues in inheritance law, the means of receiving inheritance, namely the determination of the actual possession of the estate by applying to the court. The study discusses the essence of inheritance, the means of obtaining it, and the obstacles in the part of confirming the actual ownership. Within the framework of the research, using the historical-comparative method, according to the old Georgian law, the issues of inheritance, the rules and conditions of the regulation of the transfer of the deceased person's property are evaluated. Using the descriptive/review method, the means established by the law for confirming the actual ownership are spread and evaluated, and their effectiveness in the process of inheritance is presented against the background of the analysis of court decisions.

Within the framework of the research, it was established that the deadline for receiving the inheritance is a big problem, since in case of missing the said deadline, several processes begin, in which case the potential heirs are forced to confirm the actual ownership of the inherited property during the process of receiving the inheritance. Ultimately, the court remains the main guarantor for potential heirs to receive the estate, and proving actual ownership in court is not so easy.

At the stage of the present research, it was established that although there are documents/circumstances confirming the actual possession established by law, however, these are often not enough to prove the possession, since the court considers each specific case and makes relevant decisions. Based on the analysis of court practice, it was found that actual ownership is mostly confirmed by living in the heir's residence. In the process of receiving the inheritance, the legal heir must take active actions and confirm the actual ownership, this cannot be done if he does not submit the relevant documentation. As for the documentation confirming the actual ownership, it was determined within the scope of the research that finding the documentation sometimes requires special efforts, and often it may be stored incompletely or with errors in the relevant agency.

Within the framework of the present study, the determination of the actual ownership of the estate by applying to the court, the relevance and effectiveness of the documentation confirming the ownership, is evaluated based on the analysis of judicial practice and doctrine. Appropriate preventive mechanisms are proposed, which are necessary to eliminate the problems caused by the verification of actual possession of the estate.

Key words: inheritance, inheritance law, means of inheritance, legal inheritance, inheritance as a constitutional right, inheritance by actual possession, confirmation of actual possession through the court.